

## **მწვანელოვანი კულტურების (ქინძი, ოხრახუში, კამა და სხვა) მოვლა-მოყვანის მოკლე ცნობარი**



### **ნიადაგის დამუშავება**

თუ გაზაფხულამდე ნიადაგი არ იყო დამუშავებული, იგი უნდა დამუშავდეს რაც შეიძლება ადრე და გულმოდგინედ, მოცილდეს აღმოცენებული სარეველები და მათი ფესვები.

### **ნიადაგის გაფხვიერება**

ნიადაგის გაფხვიერება დაფარცხვას მიმართავენ აპრილის დასაწყისში, ერთეული სარეველების გამოჩენისთანავე, ამავე დროს ხდება ნიადაგის გაფხვიერება და ბელტების დაშლა.

### **დათესვა**

აღნიშნული კულტურები ითესება აპრილში, 6-8 რიგიან მწკრივებად, მწკრივთა შროის 10-15 სმ-ის დაცილებით, ჩათესვის სიღრმე 1,5-2 სმ.

### **გამარგვლა-გამეჩხერება**

აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისში მიმართავენ აღმოცენებული სარეველების მოცილებას და ჩახშირებული მცენარეების გამეჩხერებას, მათ შორის 10-15 სმ-ის დატოვებით.

### **მცენარეთა მორწყვა**

აღმოცენებული მცენარეები ირწყვება 5-7 დღეში ერთხელ (კლიმატური პირობებისა და საჭიროების მიხედვით). მთელი ვეგეტაციის მანძილზე მაისიდან-ივლისამდე.

### **სარეველების მოცილება და ნიადაგის გაფხვიერება**

აღმოცენების შემდეგ მაის-ივნისში მიმართავენ მცენარეთა რიგთაშორისების გაფხვიერებას და სარეველათა მოცილებას, საჭიროების მიხედვით.

### **მცენარეთა დაცვა**

მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გატარებას მიმართავენ საჭიროების მიხედვით.

### **მოსავლის აღება**

აღნიშნული კულტურების მოსავალი შეიძლება ავიღოთ როგორც ერთიანად ასევე ნაწილ-ნაწილ, ივნისიდან სექტემბრამდე. მოსავლის აღების დროს მცენარეს აცილებენ ქვედა ფოთლებს, მცენარის ფესვთა სისტემისა და ცენტრალური ნაწილის დაზიანების გარეშე.

